სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს **საჯარო სკოლის** ფიზიკის მასწავლებლების კონკურსს შვეიცარიის ქ. ჟენევაში მდებარე ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN - Organisation Européenne pour la Recherche Nucléaire) ერთკვირიან სტაჟირებაზე გასაგზავნად.

კონკურსის შედეგად შეირჩევა ფიზიკის 10 პედაგოგი **საჯარო სკოლებიდან**. მათი სტაჟირების დაფინანსება განხორციელდება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ცენტრი ითვალისწინებს კერძო სამართლის იურიდიული პირი - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოთხოვნას საკუთარი პედაგოგების ჩართულობის თაობაზე აღნიშნულ პროგრამაში. შესაბამისად, ცენტრი გამოთქვამს მზადყოფნას შეარჩიოს არაუმეტეს 5 პედაგოგისა სტაჟირების მიზნით კერძო სამართლის იურიდიული პირი სკოლებიდან. კერძო სამართლის იურიდიული პირი სკოლების მასწავლებელთა ვიზიტის, მგზავრობისა და სასტუმრო მომსახურების დაფარვა უნდა განხორციელდეს დამსაქმებლის ან თავად პედაგოგის მიერ.

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილე:

1. უნდა იყოს მოქმედი პედაგოგი;
2. პედაგოგი **უნდა იყოს** სერტიფიცირებული ფიზიკაში, ან ჩაბარებული ჰქონდეს საგნობრივი გამოცდა ფიზიკაში;
3. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტაჟირების პროგრამის ფარგლებში **არ** უნდა იყოს ნამყოფი ზემოხსენებულ კვლევით ცენტრში.

დამატებითი კრიტერიუმი:

- მასწავლებლის შედეგები (ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეები);
- მოსწავლეთა ჩართულობით განხორციელებული პროექტები.

კონკურსზე წარმოსადგენი მასალა

ჩატარებული გაკვეთილის გეგმა Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10-12 წუთი) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (**აირჩიეთ სარეკომენდაციო საკითხებიდან ერთ-ერთი**):

- სამყაროს წარმოშობისა და განვითარების თანამედროვე მეცნიერული თეორიები;
- ელემენტარული ნაწილაკების კლასიფიკაცია და მათი ურთიერთქმედებების აღწერა;
- ფიზიკის როლი თანამედროვე საზოგადოების განვითარებაში;
- ატომის ბირთვის აღნაგობა, ბირთვული ძალები, ბმის ენერგია.

საჭირო დოკუმენტაცია:

1. CV ქართულ ენაზე;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. დიპლომის ასლი;
4. სერტიფიცირების, ან საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა;
5. სკოლის დირექტორის რეკომენდაცია.

კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:

1. დოკუმეტაციის გადარჩევა;

2. გასაუბრება: პრეზენტაცია და მისი განხილვა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს 27 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@tpdc.ge.